სახალხო გაზეთი

№ 1122 შაბათი, 22 თებერვალი 1914 წ. № 1122

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი, პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, ეკზარხოსის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

რველი წიგნი: „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა ქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

ორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა იგევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

მი აგზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან. 2) ქ. შ. წ. კ. გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

თადს მადლობას ვუცხადებთ ყველა მათ, ვინც თანაგრძნობა აცხადა ჩვენი უსაზღვრო მწუხარების გამო დეპეშებით, წერილებით და პირადის თანადასწრებით ჩვენი უძვირფასესი ქმრის, მამის, მამამთილის და სიმამრის

იმონ დავითის ძე გიორგობიანის

რგვის გამო. მეუღლე **მარიამ გიორგობიანი,** შვილები **სპანკა,** **ლიზა, კატო,** რძლები **ნინო და ფეფო,** სიძე **სიმონ ჩიხლაძე.** 120

ახალი კლუბი

მამასახლისთა საბჭო აუწყებს კლუბის წევრთ, რომ

ევრთა წლიური საზოგადო კრება

ლია კლუბის სადგომში შაბათს, 22 თებერვალს, საღამოს 8 საათზე. კრება როგორც მეორედ დანიშნული კანონიერად ჩაითვლება რამდენიც უნდა დაესწროს; განსახილველია შემდეგი საქმეები: 1) 1913 წლისა; 2) ხარჯთ-აღრიცხვა 1914 წლისთვის; 3) მოხსენება იო კომისიისა; 4) მიმდინარე საქმეები; 5) არჩევანი მამასახლისთა კანდიდატთა; 6) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა კანდიდატებისა და 7) არჩევანი წევრთა და მუდმივ მოსიარუ- 1052.

-ქ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი მწერლობა.

დალატი, ტ. 1906. 1—25 კ.
ლი. თხზ. ბი დ ცხვრე-
ვი, ტ. 1913. . 15 „
შვილი, ანუ გაუბე-
ბულნი, დრ. 3 მ. ტ.
. . . 15 „
რგლის ბედი, დრ. 1
ტ. 1910. . 10 „
ე ან. ასული ისრაი-
ტ. 1900. . . 30 „
ტრა, ტ. 1911, მისივე, 50 „
. 1890. . . 15 „
ქ. მოსპ. და საქარ.
თებლად, ტ. 1912. 1 მ.
ა. მთიულეთი, 1804,
806 წ.
. . . 40 „
ხეთ. (1812), ისტ. ამ-
ტ. 1907, . . 60 „
ვი შამილი, ისტორ.

ამბავი, ტ. 1914. მისივე, 25 „
ქილილა და დამანა, ტ. 1886. 1— „
ქვარიანი ს. სუმბული, ლექსები. ყვ. 1901. . . 25 „
ვიზიტი (ეტიუდები), 1903. 10 „
ქებათა-ქება დ სულემან. ტ. 1909. 10 „
ყაზბეგი ალ. თხზ. ტ. 1905. 3—50 „
ელისო, ქუთ. 1909. : 10 „
ყარამანიანი. 16 კარ. თითო კარი 40 „
ყიფიანი ვ., სამეგრ. მთავ. ლევანი, ისტ. დრამა 5 მოქ. 40 „
ყიფიანი სვ. წერ: მოთხრ. 1911. 60 „
შიუკაშვ. გამხმარი ფოთ. 1911. 20 „
„ მეგობრ. დრ. 4მ. ტ. 1911. 30 „

მიღებულია ახალი წიგნები:

თაყაიშვ. ე. საისტ. მასალ. 1913. 25 „
ხუნდაძე ს. ქართ. ლიტერ სახელმძღვანელო, ქუთ. 1914. 15 „
ველოშვ. საყმაწ. მოთხრ. 1914. 10 „

: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

ახალი კლუბი

ხუთშაბათს, 25 თებერვალს, **საოჯახო საღამო.**

დრამატიულ მოყვარულთა ხელოვნების ჯგუფი, დაარსებული „ახალ კლუბთან“, წარმოადგენენ 1) **„რომანტიკი“** როსტანისა, ლექსად გადმოთარგმნილი შჩეპკინა-კუპერნიკისა. 2) **ფიფი,** დრამატიული ეტიუდი ფილიპისა. 3) **რაინდი ინდუსტრიისა,** მინიატურა ავერჩენკოსი.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნ ვერა ტიზენჰაუზენისა, სკლიაროვისა, ბ-ნნი: ნ. ნ. ბეგთაბეგოვი, ნ. ს. ე. შუბსკოი, ნ. გ. მაჭავარიანი, მ. ფ. ქორელი და სხ. ადგილ. ფასი პარტერში: პირველი რიგი 1 მ., 2 და 3—75 კ., 4, 5 და 6—50 კ., 7, 8, 9—30 კ. დანარჩენი 20 კ. ქანდარა ხელმისაწვდომია.

დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს. 1052

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ხ. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ხ. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1604

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხნთვის ვაგზლის ეკლესიის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე:

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სახიდრო ნ. კ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“. 1023

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქხნიეცის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 60 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებს.

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფიდოროვი ი. გ.** ყოველ დღე, 11—12 **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგიულ სნეულებანი.	**მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ვენერიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1070

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ **ს. ი. პრისმანთან.**

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

სანერგე

ამერიკულ ვაზისა „კლო-ეგურული“ ქუთაისში

მუდამ რჩევას იძლევა ამა თუ იმ ნიადაგის შესაფერ ნერგის არჩევაში და მევენახეებს აფრთხილებს, რათა არ იხმარონ ნერგი **რეპესტრისი,** რომელიც ცუდად ხეირობს, მდარე ღვინოს იძლევა და ყველა სხვა დასამყნობ ნერგებზე უფრო მეტად სნეულდება სოკოს ავადმყოფობით.

მუდამ მზადმყოფება გასასყიდად

წოლიკაური, კრახუნა, ცოცკა, მწვანე, რქა-წითელი, საფერავი, ოცხანური და მრავალი სხვა ადგილობრივი და ევროპიული ჯიშის ნერგი (აგრეთვე პირდაპირი მომწენებელი გიბრიდი) სხვა და სხვა ნიადაგისათვის შესაფერ ძირზე ნამყნობი. სხვა და სხვა ჯიშის ვაზი ნერგი 1000 ცალი 65 მან. ღირს. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. 113

ქუთაისში

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ გამოიცემა

სამეცნიერო და სალიტერატურო კრებული

„ცხოვრება და მეცნიერება“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ უნივერსიტეტის თანამედროვე ძალები.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში. კრებული დაიბეჭდება მშვენიერ ქაღალდზე და დასურათებული იქნება. წინასწარ ხელის მოწერით ეღირება 1 მანეთი. 1064

ცნობა:

ამით ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ წლის 1 იანვრიდან **შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში № 20, 21,**

გავხსენი

ბითუმად და წვრილ-წვრილად სავაჭრო მაღაზია:

მაუდეულისა, შალეულისა, აბრეშუმეულისა, ტილოსი და ბამბის ქსოვილებისა მოსკოვისა და საზღვარ-გარეთის ქარხნებისა

სრულის პატივისცემით **ს. მ. კირაკოზოვისა** და **მ. გ. ოგანოვის** მაუდეულის განყოფილების გამგედ ნამყოფი

ილია დავითის ძე მამულაშვილი

1067 (იგივე მამულოვი).

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყოფა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. **უმთავრესად** ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად წინდაწინ მიცემულ კვიტანციისა. 1073

გ. გორში

(დოკტორანტი).

ექიმი მ. დ. **წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ- 1671

ექიმი ქალი **ნინო რცხილაძე.**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე. კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1608

ექიმი ბ. ნ. **მაგაკიანი**

გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388.

1053

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ხერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი გ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^{1}/_{2}$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. ბესტუჟევის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი პავლე არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი შ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ტფილისი, 22 თებერვალი

ნაციონალისტური კურსი.

ვერავინ იტყვის, ეგრედწოდებული ინოროდცების მდგომარეობა რუსეთში მშვენიერიაო. საზოგადო უუფლებობას ზედ ერთვის ეროვნული უუფლებობა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ყველასთვის სწორედ მაშინ, როდესაც რუსეთში ძველი წესი მართვა-გამგეობისა შეირყა და მოწვეულ იქმნა სახელმწიფო სათათბირო. ის, რაც ამ დრომდე ბიუროკრატიულ კანცელარიებში ჰდებოდა, ეხლა ხალხის წარმომადგენლების სურვილად სდგება. რუსეთი რუსებისთვის უნდა იყოსო, აი ის ნაციონალისტური ლოზუნგი, რომელიც დღეს არის გამეფებული რუსეთის საზოგადოების ნაწილში. ამ ლოზუნგის, ამ სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით ჰსწყდება ყველა საკითხი, რომელიც კი განაპირა ქვეყნებს და ინოროდცებს შეეხება. სტოლიპინმა მისცა მეტი მთლიანობა ამ ნაციონალისტურ კურსს, რომელიც ოქტომბრისტებისა და მემარჯვენე ელემენტების ლოცვა-კურთხევით ძლიერდებოდა და ვითარდებოდა. ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ მთელი წლების განმავლობაში ხან ერთი ერი მოჰყვებოდა ხოლმე სტოლიპინის მიერ აგორებულ ნაციონალისტურ ბორბალს, ხან მეორე. ამ მხრით ყველა ერი გათანასწორებულია, ყველა ერთნაირ პირობებშია და, მაშასადამე, დევნისა და შევიწროვების მხრით, სრული ერთა თანასწორობა არსებობს. მაგრამ არიან ერები, რომელთა მდგომარეობა უფრო უარესი ჰხდება თავისი განსაკუთრებული ვითარებისა გამო. ავიღოთ მაგალითად, უკრაინელები. უკრაინელებს არამც თუ სდევნიდნენ და სდევნიან, ისინი არც კი უნდათ ცალკე ერად აღიარონ. ნაციონალისტი სავენკო სახელმწიფო სათათბიროში პირდაპირ ამბობს, განაპირა ქვეყნების საკითხთა ყველაზე საშინელი უკრაინის საკითხი არისო. ასე ფიქრობს არა მარტო სავენკო, ბიუროკრატია, საზოგადოდ ყველა ნაციონალისტი, ხშირად ასე ფიქრობენ რუსის ლიბერალები და პროგრესიულად განწყობილი ელემენტები, ისეთები, რომელნიც საზოგადოდ ყველა ინოროდცებს მეგობრულის თვალით უცქერიან. უმთავრესი მიზეზი ამისა იმაში მდგომარეობს, რომ თვით რუსეთის საზოგადოების ნაწილს არა ჰსურს ერად იცნოს ხალხი, რომელიც თითონ განცალკევებულ ერადა ჰგრძნობს თავის თავს. ეს არის უმთავრესი ტრაგედია უკრაინელებისა. ცხადია, ყოველგვარი ნაციონალისტური ცრუ-მორწმუნოებისაგან განთავისუფლებული საზოგადოება სულ სხვანაირად შეხედავდა საკითხს და ეროვნებათა უფლებების დაცვის დროს იხელმძღვანელებდა არა იმით, თითონ რომელი ერი მიაჩნია ეროვნებად, ან თითონ როგორ ესმის იდეალები ამ ერისა, არამედ იმით, თუ თვით ერს ჰსურს თუ არა იქცეს და დარჩეს ცალკე ეროვნებად, თვით ერს როგორ ჰსურს მოაწყოს თავისი მომავალი და რაგვარი დამოკიდებულება დაიჭიროს სხვა ერებთან. ერის ბედი თვით ერისავე ინტერესებისა და სურვილების თვალსაზრისით უნდა გადასწყდეს. რუსეთში კი ძალიან ცოტა აზროვნებს ამნაირად. ძალიან ხშირად ფრიად დიდს პროგრესისტებსაც კი შეთვისებული აქვთ გაბატონებული ერის განსაკუთრებული ფსიხიკა და მხოლოდ ამ გაბატონებული ერის ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით სწყვეტავენ დამორჩილებული ერის ბედსა.

უკრაინას აზრადა ჰქონდა თავისი დიდებული პოეტის ტარას შევჩენკო იუბილეი გადაეხადა. ადმინისტრაციამ, ნაციონალისტების ზედგავლენით, ეს იუბილეი აკრძალა და, ბოლო დროს კი, ძალიან ვიწრო ჩარჩოებში ჩააყენა. შედეგად მოჰყვა შეკითხვა სახელმწიფო სათათბიროში, სადაც ეს შეკითხვა განხილულ იქმნა 19 თებერვლის სხდომაზე. ამ სხდომაზე ნათლად გამოირკვა ნაციონალისტური სულის კვეთება სახელმწიფო სათათბიროს ნაწილისა. გაისმა ჩვეულებრივი ღაღადი უკრაინელების სეპარატიზმის თაობაზე. ჩვეულებრივი მოვლენაა. ინოროდცები დაჩვეულნი არიან, რომ ყოველი მათი მისწრაფება ეროვნული თავისებურების დასაცველად სეპარატიზმად გაასაღონ. კადეტების მეთაურმა მილიუკოვმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა უკრაინელების დასაცველად და უთხრა სავენკოს, თქვენ ერთმანეთისაგან ვერ გაგირჩევიათ ავტონომია, ფედერაცია და სეპარატიზმიო. სცდება მილიუკოვი. ნაციონალისტმა სავენკომ და ყველა მისმა პოლიტიკურმა ამხანაგმა ძალიან კარგად იცის, რომ ავტონომია-ფედერაციასა და სეპარატიზმს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ისიც ძალიან კარგად იციან, რომ მართალია მილიუკოვი, როდესაც ამბობს, რუსეთში სულ უკიდურესი პარტიებიც კი თავიანთ ერისთვის მხოლოდ ავტონომიასა და ფედერაციას მოითხოვენო, მაგრამ მაინც წინააღმდეგს ამტკიცებენ. ეს საეჭვო ღირსების გაუგებრობა ნაციონალისტებისა იმ აზრით არის ნავარაუდევი, რომ ყოველგვარი კულტურული გამოხატულება პატარა ერებისა სეპარატიზმად გამოცხადდეს.

ინოროდცები რუსეთისაგან განცალკევებას მოითხოვენო, ავრცელებენ ჭორს რუსის ნაციონალისტები. მხოლოდ ამნაირი ჭორის გავრცელებით შეიძლება ისაზრდოოს აგრესიულმა ნაციონალიზმმა. ეს ჭორი რომ არ იყოს გავრცელებული, მაშინ მთელი კამპანია რუსეთის ნაციონალისტებისა პირდაპირ კომიკურ ხასიათს მიიღებდა და მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მისი მქადაგებელი გულენთილია ზოოლოგიურის გრძნობებით, რომ იგი რასიულ მძულვარებას ჰქადაგებს და მხოლოდ ბნელ ინსტინქტებს ასაზრდოებს. ამ ზოოლოგიური, წმიდა პირუტყვული გრძნობების დასაფარავად გამოგონილია ჭორი ინოროდცების სეპარატიზმისა. აქა-იქ ისმის ფხიზელი სიტყვა შეგნებული საზოგადოებისა, არიან ისეთებიც, რომელნიც ჰხედავენ, რომ არამც თუ დაკმაყოფილება უბრალო კულტურული მოთხოვნილებებისა, თვით ავტონომიის მინიჭებაც კი არავითარ განცალკევებას არა ნიშნავს, სრულიად არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობისა და სიძლიერისთვის, მაგრამ ეს ხმა რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დროთა მსვლელობით ეს ცრუმორწმუნოებაც მოისპობა. რეაქციონურ აზროვნებას ბევრნაირი რამ ელანდებოდა რუსეთის დამღუპველად. იყო დრო, როდესაც გლეხთა განთავისუფლება რუსეთის სახელმწიფოს დაღუპვის შავ აჩრდილად ეღიმართა რეაქციონურ რუსეთის გონების თვალწინ. მაგრამ გავიდა დრო, გლეხთა განთავისუფლებამ თავისი სასარგებლო ნაყოფი გამოიღო და ეხლა ეს დღე ოფიციალურ რუსეთის სადღესასწაულო დღედ გადაქცეულა. ასევე დაემართა საერობო თვითმმართველობას. ეს ერთგვარი დეცენტრალიზაცია სამეურნეო ცხოვრებისა ბევრისთვის საფრთხობელად იყო გადაქცეული, მაგრამ ჩვენ თვითონ გავხდით მოწმენი იმისა, რომ ოფიციალურმა რუსეთმა იდღესასწაულა საერობო თვითმმართველობის იუბილეი. უსაშინელეს უბედურებად იყო მიჩნეული სახალხო წარმომადგენლობა, კონსტიტუციონალიზმი; დღესაც ეს უკანასკნელი საფრთხობელადაც ღმართულა ძველს ტრადიციებზე აღზრდილ რეაქციონერების გონების თვალწინ, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი კონსერვატორიც კი, რანაირიც მენშიკოვია, ეხლა ამბობს, ხალხის წარმომადგენლობა აუცილებელია რუსეთისთვისაო. ასევე დაემართება რუსეთის პოლიტიკურ დეცენტრალიზაციასაც. დადგება დრო, როდესაც რუსეთის საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ცხადი გახდება, რომ დეცენტრალიზაცია რუსეთის მთლიანობას კი არ არღვევს, არამედ უფრო მეტსა და მტკიცე ძაფებს, ზნეობრივ ძაფებს აბამს რუსეთის ყველა ნაწილს შორის. მაშინ ბოლო მოეღება იმ ჭორებსაც, რომლებსაც რუსის ნაციონალისტები ავრცელებენ ინოროდცების შესახებ; გამოირკვევა, რომ დეცენტრალიზაციამ კი არ დაღუპა რუსეთი, პირ-იქით, მეტი ცხოველ-მყოფელი ძალა მისცა მას და ცოცხალი სული ჩაჰბერა. ნაციონალისტების მიერ დახატული შავი აჩრდილი რუსეთის დანაწილებისა ისევ შავ აჩრდილად, ისტორიულად მოსაგონარ მოვლენად დარჩება და რუსეთი კი, განახლებული და ზნეობრივად გაძლიერებული რუსეთი, განაგრძობს თავის გზას პროგრესისკენ და საყოველთაო ბედნიერებისკენ.

ქართული პრესა

„ბათუმის გაზეთი“ ერთხელ კიდევ უბრუნდება ქართული წიგნების გამომცემლობის საკითხს და ამბობს, რომ დროს ნუ ვკარგავთ, საქმე დავაჩქაროთო. გაზეთის სიტყვით, ბევრი დაიწერა ჩვენი მწიგნობრობის შესახებ; ყველანი აღიარებენ, რომ წიგნების გამომცემლობა ჩვენში კრიზისს განიცდის, ამას მტკიცება აღარ უნდა. ახლა საჭიროა საქმეს შევუდგეთ. როგორ და რა ნაირად?

წიგნი მრავალია გამოსაცემი, მაგრამ გამომცემელი არავინაა. „ბათუმის გაზეთი“ უნდობლად უყურებს წ.-კ. საზოგადოებას, სიტყვა-კაზმულ საზოგადოებას და უკვე არსებულ გამომცემელ ამხანაგობებს; კერძო პირებიც არ იკისრებენ ისეთ გამომცემლობას, როგორიც საჭიროა დღესო. შემდეგ სწერს:

„ამ რიგად ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობას გამომცემელი არა ჰყავს. საჭიროა გამოცემა გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა, ეგნატე ნინოშვილისა, ი. ევდოშვილისა, ლალიონისა და სხვა ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ მწერლების თხზულებათა. საჭიროა ქართულად თარგმნა და გამოცემა უცხოეთის საუკეთესო მწერალთა, საუკეთესო ხაწარმოებისა. როგორ უნდა ჩაეყაროს საფუძველი ამ ფრიად საჭირო საქმესა? ჩვენის აზრით, თუ გვინდა ეს დიადი საქმეც გავაკეთოთ, თუ გვინდა გამოვისყიდოთ უდიდესი დანაშაული ჩვენი სათაყვანებელი უკვდავი ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილის წინაშე, რომ მისი თხზულებანი დღემდე ვერ გამოვეცით ღირსეულად დ უკანასკნელად თუ გვინდა მისი ოცი წლის გარდაცვალების წლის თავი აღვნიშნოთ, მის ხსოვნასა და სახელს დავუკავშიროთ ღირსეული საქმე და დავაარსოთ „ეგნატე ნინოშვილის წრე“.

ამ წრემ უნდა დაისახოს ხალხური წიგნების გამომცემლობაო,—ამბობს გაზეთი.

ასეთი სახელის „გამომცემელი წრე“ მეტად სასიამოვნო მოვლენა იქნებოდა, მაგრამ ამ სახელით დაარსდება თუ არ სახელით გამომცემლობა, ერთი კი აუცილებლივ უნდა აღვიაროთ, რომ ბოლო უნდა მოეღოს ჩვენი მწიგნობრობის კრიზისს. შეუძლებელია დაგვიანება. წიგნის დიდი მოთხოვნილებაა ხალხში და ეს მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს. ამ საქმისათვის არა კმარა ერთი რომელიმე გამომცემლობა. საჭიროა, რომ წ.-კ. საზოგადოებამაც მეტი ყურადღება მიაქციოს წიგნების გამომცემლობის საქმეს. „საზოგადოების“ გამგეობასთან დღეს განსაკუთრებული საგამომცემლო სექცია არსებობს, რომელიც, სრული იმედი გვაქვს, ჯეროვანის ენერგიით მოჰკიდებს ხელს გამომცემლობას.

ხარაჩები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთს „ნოვოე ვრემიას“ მოჰყავს ცნობები სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან საეკლესიო ცხოვრების შესახებ და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ სარწმუნოება დაეცა ხალხშიო.

„1912 წ. მთელი იმპერიის 53546 მართლმადიდებელ ეკლესიასთან, გაზეთის სიტყვით, 19750 საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველო არსებობდა და ამ სამზრუნველოების საშუალებით 100 მილიონს მართლმადიდებელ ხალხს შეუწირავს ეკლესიებისათვის 3.401.572 მანეთი, რაიც შეადგენს კაცზე $3^{1}/_{2}$ კაპ...

ამავე ხალხს გამოუღია სამზრუნველოების მიერ სამრევლო სკოლებისა და სხვა და სხვა სამრევლო საქველმოქმედო დაწესებულებისათვის მხოლოდ 794.348 მანეთი, ე. ი. კაცს ერთი მერვედი კაპეიკი...“

ეს ციფრებიო, ამბობს „ნოვოე ვრემია“ ნათლად მოწმობს, რომ ხალხის სარწმუნოება მეტად შერყეულა და შესუსტებულაო დ მოუწოდებს მთავრობას, დაუყონებლივ მიიღოს ზომები ხალხის სარწმუნოების აღსადგენად. მაგრამ ბიუროკრატიის თაყვანისმცემელს გაზეთს ავიწყდება საანბანო ჭეშმარიტება, რომ არსად და არასოდეს მთავრობას სარწმუნოებრივი გრძნობები არ გამოუწვევია და არ აღუდგენია. სარწმუნოება თავისუფალი სინდისის საქმეა და მისი წარმოშობა, ხელოვნურად გამოწვევა და განვითარება ძალმომრეობას არ შეუძლია.

ბიუროკრატიული გაზეთი ერთს საყურადღებო მოვლენასაც მიაქცევს ყურადღებას: უკანასკნელი 20—25 წლის განმავლობაში სამღვდელოება ძლიერ დაქვეითდა გონებრივადაო. ამის მიზეზად ასახელებს, სხვათა შორის, არქიელების თვითნებობას, რომლებიც ნიჭიერებსათვის ეპყრობიან მღვდლებს და ჰბორკავენ მათ თვითმოქმედებას; გარდა ამისა, მეტად მკაცრი ცენზურა ყოველ-მხრივ წინ ეღობება მოძღვრების მოღვაწეობასო. ეს გარემოება აფრთხობს სინიდისიერს განათლებულს ადამიანებს, რომლებიც გაურბიან ეკლესიას.

ეს ყოველივე მართალია: თავისუფლებაა საჭირო ეკლესიის მსახურთათვის, მაგრამ მარტო საეკლესიო მოღვაწეებს უხუთავს სულს დღეს ბიუროკრატიული ძალადობა? მარტო ეკლესიაა დამონებული? რატომ ცოტა ფართოდ არ გაიხედავს გაზეთი და არ დაინახავს, რომ მთელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება დამხჩვალია და ცოცხალ-მკვდარი იმ ბიუროკრატიულის მთავრობის წყალობით, რომლის ქომაგია და დამცველი „ნოვოე ვრემია“?

მაგრამ „ნოვოე ვრემია“ განა „ნოვოე ვრემია“ იქნებოდა, რომ ყოველივე ეს დაინახოს?

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ჭიათურა. სასიკვდილოდ დასჭრეს შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს გზის მუშა. ეჭვი აქვთ გაფიცულ მუშებზე.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **საპენსიო კასა მასწავლებელთათვის.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების სკოლის ერთ-ერთმა მასწავლებელმა საზოგადოების გამგეობას სთხოვა, ჩასწეროს იგი სახალხო სკოლების მასწავლებელთა საპენსიო კასაში, რომელიც სახალხო განათლების სამინისტროს ხელშია და ხვედრი გადასახადი გამგეობამ ამ მასწავლებლის ჯამაგირიდან აძლიოს. გამგეობამ თხოვნა სასკოლო კომისიას გადასცა იმის გამოსარკვევად, რამდენად სასურველია ის, რომ კერძო დაწესებულებათა სკოლების მასწავლებლები მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის საპენსიო კასაში. რუსეთის ზოგმა ქალაქის თვითმმართველობებმა და ერობებმა კარგა ხანია თავისი მასწავლებელნი წევრებად ჩასწერეს, მაგრამ პროგრესიულმა ერობებმა ჩქარა არა სასურველად სცნეს თვის მასწავლებელთა მონაწილეობა ამ კასაში, რომლის პატრონიც სამინისტროა და რომელსაც ამით საშუალება ეძლევა თავისი უფლებანი კერძო დაწესებულებათა სკოლების მასწავლებლებზეც გაავრცელოს. ამის გამო ერობებმა შეძლების დაგვარად თვითვე დააჩქარეს საკუთარ საპენსიო კასის დაარსება თვის მასწავლებელთათვის. საერთოდ ეს საკითხი მეტად სერიოზულია და ბევრი დარწმუნებულია, რომ წ.-კითხვის გამგეობას ახლა აუცილებლად დაებადება აზრი თვის მასწავლებელთათვის საკუთარ საპენსიო კასის დაარსებისა, მით უფრო, რომ წ.-კ. საზოგადოებას ამ ჟამად ბევრი სკოლა აქვს და მოკლე ხანში ახალ სკოლების გახსნასაც აპირობს.

◆ კვირას, 23 თებერვალს, ქართულ თეატრის დარბაზში **ქ-ნი ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძისა** წაიკითხავს ქართულად ლექციას: **„ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში“**. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში ქალებიც იწყებენ გამოსვლას ამ ასპარეზზე. იმედი გვაქვს საზოგადოება გულწრფელად მიეგებება ამ საგულისხმო მოვლენას და ლექციას დაესწრობა, მით უმეტეს, რომ ლექციის პროგრამა მეტად საყურადღებოა.

◆ **ქუთაისის გუბერნ. დამშეულთა საქმე.** ქუთაისის სასურსათო კომიტეტის ცნობებით, ქუთაისის გუბერნიაში შარშან მოუსავლობით დაზარალებულ ოთხი მაზრისათვის გადაიდო 823,153 მანეთი. აქედან ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებაში წინდაწინვე გადაუციათ 75,000 მანეთი. ეხლა მეფის მოადგილე შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობს, რათა დანარჩენი 748,153 მანეთიც ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებაში გადასცეს.

◆ **მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ** დაამზადა **ქანდაკება არჩილ ჯორჯაძისა,** მაგიდაზე დასადგმელი. ქანდაკება ესკიზია, რომლის სურათი ჩვენი გაზეთის დამატებაში დაიბეჭდა. ამ ესკიზის გადიდებული მარმარილოს ქანდაკება დაიდგმება ა. ჯორჯაძის საფლავზე ძეგლად. ქანდაკება იყიდება 5 მანეთად, ბრინჯაოსი—100 მან. მსურველს ნახვა შეუძლიან „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში 3-დან 4 საათამდე.

◆ **მეფის მოადგილემ ნება დართო** ებრაელთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას, 1 მარტს ლატარია გამართოს თვის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **მინდვრის თაგვი.** ტფ. მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გუბერნატორს აცნობა, რომ გიორგი წმინდის საზოგადოებაში მრავლად გაჩნდა მინდვრის თაგვი, რომელიც მცხოვრებს საშინელს უბედურებას უმზადებსო. შუამავალი გუბერნატორს სთხოვს, დაუყოვნებლივ აგრონომი-ინსტრუქტორი გაგზავნოს თაგვის წინააღმდეგ შესაფერ ღონისძიებათა მისაღებად.

◆ მეფის მოადგილემ 3,000 მან. გადასდო გუბერნატორის განკარგულებაში სომეხ-კათოლიკეთა სასულიერო გამგეობისთვის გადასაცემად.

◆ **საეკლესიო გაზეთი.** გუბერნატორმა ნება დართო ა. ი. შჩეგრინოვს, გამოსცეს ტფილისში რუსულ ენაზე „კავკასიის საეკლესიო გაზეთი“.

◆ **ტფ. მეპურეებმა** საბირჟო კომიტეტს წერილობით განუცხადეს, ტფილისის საბარგო სადგურზე უწესოება სუფევსო. კომიტეტმა განცხადება რკინის გზის უფროსს გაუგზავნა.

◆ **სატრაქტირო დაწესებულებათა** შენახვისა და იქ ვაჭრობის წესები, რომელიც ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა, ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ საბოლოოდ განიხილა. წესების პროექტში კომისიამ დიდი ცვლილებანი შეიტანა. პროექტი დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს ერთ-ერთს უახლოეს კრებას წარედგინება.

◆ **დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის უკვდავყოფის** საკითხის გამო ამ დღეებში ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ კ. ნ. აბხაზის თავჯდომარეობით კრება ჰქონდა თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს. კრებას დაესწრნენ სხვა და სხვა ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების წარმომადგენლნი. კრებამ საკითხი სათავად-აზნაურო საადგილმამულო კომისიას გადასცა და დაავალა: შეიმუშაოს ტიპი და ხარჯთ-აღრიცხვა დ. ყიფიანის ძეგლისა.

◆ **ტფ. საბირჟო კომიტეტმა** 19 თებერვლის კრებაზე დაამტკიცა 1913 წლის ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ საანგარიშო წელს კომიტეტს შემოსავალი ჰქონია 8,861 მან. 91 კ., ხარჯი—5.207 მან. 24 კ.

◆ **მუშტაიდზე ქუჩის გაყვანის** საკითხი ასე თუ ისე გადაწყვეტას ამ ჟამად ახალი დაბრკოლება გადაეღობა წინ. მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის მთავარმა სამმართველომ ათ საჟენიან ქუჩის გაყვანის ნება დართო ქალაქს, მაგრამ იმ პირობით, რომ ამაზე თანხმობა გამოაცხადოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომაც, რომელსაც სწორედ ამ გზაზე წყლის მილები უწყვია.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სატეხნიკო კომისიამ, რომელიც პოლიტეხნიკუმის შენობის საამშენებლო კომისიად იქმნა გარდაქმნილი, დაადგინა, 1 მარტამდე მიიღოს სხვა და სხვა პირისაგან ცნობები პოლიტეხნიკუმის [illegible]
მასალის ფასის შესახებ. პო
კუმის მთავარ შენობის
პროექტს კომისია მთავარ
ტეხნიკუმო კომიტეტს
სთვის წარუდგენს. პოლი
შენობის საძირკვლის ჩაყ
ლისთვის არის განზრახუ

◆ **„სამართლიანობა**
საბჭოს სამეურნეო კომის
ქტირო დაწესებულებათ
სავალდებულო დადგენი
მუხლს ასეთი კურიოზუ
ნა ჩაურთო: „იმ შემთხვე
დესაც მუშტარი სატრა
წესებულებაში იმდენად
რომ თვითო აღარ შეუ
ში წასვლა, სატრაქტი
ბულების პატრონი მ
რალი თავის ხარჯით მ
ხლში“.

◆ **ჩქარი სამკურნალ**
ბა. ხმოსანმა ა. ს. გაბოვ
გამგეობას განცხადება
რომლითაც თხოულობ
შუამდგომლობა, რათა ჩქ
კურნალო დახმარების სად
სარგებლო ე სახლის პატრ
სახადი დაედოთ. ბ-ნ გაბო
ეს გადასახადი უნდა დ
პირთ, ვინც ახალ სახლებს
ან ძველ სახლებს საფუძვლ
აკეთებენ.

◆ კავკასიის სამთა-მადნ
თველომ ნება დართო ქ
ბერტს, ჩოხათში (ოზურ
ნავთის სამრეწველო მოაწ

◆ ჰიდრო-აეროპლანების
მოკლე ხანში კავკასიაში ჩა
რანგეთის ცნობილი მფრინ
რანი, რომლის ხელმძღვანე
ნურიელის ტბაზე (ბათუმ
ბულ იქმნება ჰიდრო-აერ
ბის სადგური.

საზოგადოებანი და

◆ დღეს, საღამოს 8 საა
გეოგრაფიის საზოგადოებ
ბაზში დანიშნულია მოსკ
არქეოლოგიურ საზოგადო
კასიის განყოფილების წევ
ბა; განიხილავენ 1913 წ. ან

◆ მომავალ კვირაში, შ
ქ. გეპშტეინი წაიკითხავს რ
„ჩეხოვის მიწერ-მოწერა“.

◆ **ახალი კლუბის** წევრთ
რი კრება დანიშნულია დ
საღამოს 8 საათზე. კრებამ
შორის, უნდა განიხილოს 1
ანგარიში და 1914 წლის
აღრიცხვა და აირჩიოს გამ
და სარევიზიო კომისიი
1913 წლის ანგარიში უკვე
და კლუბის წევრებს დაურ
ანგარიშიდან, სხვათა შორი
გი სჩანს: საანგარიშო წლის
შემოსავალი ჰქონია 168,19
კ., მოგება დარჩენია 9,897
შემოსავლის უმთავრესი წყ
ფილა: გადასახადი სტუმ
29,998 მ. 35 კ., ქაღალდის
ბიდან—48,139 მ. 70 კ., ლო
—32,210 მ. 14 კ., ჯარიმება
დან გვიან გამოსვლისათვის
მ. 10 კ., და წარმოდგენათ
ტების შემოსავალი—4,935
და სხვა. კლუბის უმთავრეს
საანგარიშო წელს შეადგენ
ბის სადგომის ქირა—17,200
ნობის გათბობა და განათებ
მ. 56 კ., წარმოდგენა—კო
ბის გამართვა—13,560 მ. 3
თამაშო ქაღალდის ღირე
15,160 მ. 30 კ., სამუსიკო
41,178 მ. 41 კ., შეკეთება
კეთება კლუბის საზამთრო
—12,246 მ. 94 კ. და სხვა. 19
სავარაუდო ხარჯთ-აღრიც
ფვით კლუბს შემოსავალი
159,450 მ., ხოლო ხარჯი 15
მოგება დარჩება 800 მან.

◆ ქ. შ. წ.-კ. გამავრც
ლების **ბიბლიოთეკებისა**
ხალხო კითხვების მომწ
ციას გადაუწყვეტია აქვს
დახმარება აღმოუჩინოს ს
ბიბლიოთეკებისა და სახალ
ხვების მოწყობის საქმეს. ა
განზრახვა აქვს, შეიძინოს
ბუნდოვან სურათებისთვის ლ
ლელთათვის გასაგები ლ
მოაწყოს სხვადასხვა დარგ
დოვან სურათებით. სექცი
აქვს, საჭირო შეძენობა
ხოს სოფლის იმ ბიბლიოთ
რომელიც ქ. შ. წ.-კ. სა
ბის ხელში არ არის.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამ**
ზოგადოების სახალხო
კრება 20 თებერვალს მოხდა
მთელი კრება მოანდომა ი.
შვილის „რუსკოე სლოვო“
ველ ნაწილში საჭირო ცვ
შეტანის საკითხს. სექციის
მარემ, ლ. ბოცვაძემ კრებას
თხის გამო წარუდგინა

სალა სხვადასხვა სახელმძღვანელო წიგნიდან და ზოგიერთ ცვლილების შეტანა მოითხოვა „რუსკოე სლოვო“-ში იმ პირობით კი, რომ კონცენტრაციული მასალა, რომელიც ამ წიგნშია მოთავსებული და პედაგოგიური პრინციპი, რომელზედაც აგებულია ეს სახელმძღვანელო, ხელუხლებელი უნდა დარჩეს. სექციამ საკითხის განხილვა ვერ მოასწრო ამ დღეს და დაადგინა, შემდეგ კრებაზე დაასრულოს იგი.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** საგამომცემლო სექციის კრება 19 თებერვალს მოხდა. სექციამ დაადგინა, გამოსცეს მთელი სერია ისტორიულ შინაარსის წიგნებისა, როგორც ჩვენის ქვეყნისა, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან და ამ საქმეში დასახმარებლად მოიწვიოს შემდეგი პირნი; ალ. მდივანი, გრ. ნათაძე, ივ. რატიშვილი, ს. გორგაძე, დავ. კარიჭაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი. სექციამ აგრეთვე დაადგინა, გამოსცეს სერია საბუნებისმეტყველო წიგნებისა და ამ საქმისთვის მოიწვიოს შემდეგი პირნი: ს. იაშვილი, ს. გულისაშვილი, დ. პარკაძე, ექიმი ახვლედიანი და ექიმი თიკანაძე.

◆ **მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო-კომიტეტის** კრება დანიშნულია 24 თებერვლისთვის. კომიტეტმა უნდა განიხილოს 1913 წლის მოქმედების ანგარიში, ადაიანისა და კონდოლის სანერგეების 1915 წლის ხარჯთაღრიცხვა და ერთის კუთხიდან მეორე კუთხეში მცენარეების შეტანის წესები.

◆ **„კაპეიკის კავშირი“ საზოგადოების** წლიური კრება დანიშნულია 2 მარტისთვის კრების განსახილველ საგანთა სიის დასამზადებლად. დღეს საზოგადოების გამგეობის კრება მოხდება.

სასწავლებლებში

◆ **ქართული სკოლა სამურზაყანოში.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ბ-ნმა პეტრე ქარაიამ, რათა გამგეობამ სამურზაყანოში სკოლა დაარსოს, რადგანაც ამ მხარეში ქართული სკოლა აუცილებელს საჭიროებას შეადგენსო. გამგეობამ შუამდგომლობა განსახილველად გადასცა საზოგადოების სასკოლო კომისიას.

◆ **დედათა სახელოსნო სასწავლებელი.** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისია თვის უახლოეს კრებაზე განიხილავს წინადადებას კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, რომელიც თხოულობს, განზრახულ სახელოსნო სკოლას ქალაქმა 1,000 ოთხკუთხი საჟენი მიწა დაუთმოს. ამ სკოლის შენახვა წინასწარ ხარჯთ-აღრიცხვით ყოველწლიურად დაჯდება 7,590 მან. ერთდროული ხარჯი იქნება: შენობის აგება—40,000 მან. და მოწყობა—8,000 მან.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს განზრახვა აქვს, დაარსოს ტფილისში **მეშვიდე სახაზო გიმნაზია,** რომლის შენობაც დაახლოვებით დაჯდება 170,000 მან., მოწყობა—20,000 მან. და ყოველწლიური შენახვა 36,000 მან.

◆ **მეორე რეალურ სასწავლებლის** დაარსება ტფილისში მოკლე ხანშია განზრახული. ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ დაადგინა, სასწავლებელს უფასოდ დაუთმოს ვაკეზე, ან ნაძალადევში საჭირო მიწა.

სომხთა ცხოვრება

◆ **სასკოლო შენობა.** ერევნის გუბ. ნახიჩევნის სომხებმა დიდი ხანია განიზრახეს საკუთარი შენობის აგება ადგილობრივი სომხური სკოლისათვის. სასკოლო შენობის ხარჯი ნავარაუდევია 30 ათასი. 15 ათასი უკვე შეგროვილია და სკოლის სამზრუნველოს იმედი აქვს, რომ დანარჩენ ფულსაც მალე შეაგროვებს.

◆ **რეჟისორი.** ზუბალაშვილის სახალხო სახლის სომხურმა დასმა საზაფხულო სეზონისათვის მოიწვია მსახიობი არმენიანი.

◆ **დახმარება საშუალო სასწავლებლებს.** პეტერბურგის სომხურ ეკლესიების საბჭომ დაადგინა, ყოველ წლივ 10 ათასი მანეთით დაეხმაროს ოსმალეთის სომხეთის საშუალო სასწავლებლებს.

გორი

◆ **თავის მოკვლა.** ს. ჩრდილში საბძელში თოკით თავი ჩამოიღრჩო 22 წლის ქალმა ანეტა ხუბულაშვილმა, რომელიც სულით დაავადმყოფებული იყო.

დუშეთი.

◆ **ტყის დაწვა.** ამ დღეებში გამოურკვეველ მიზეზის გამო ცეცხლი გაუჩნდა ციხის ჯვარის ტყეს. დაიწვა 3,000 დესეტინის მანძილზე ჩირგვნარი, რომელიც ეკუთვნოდა თ-დ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკის.

სიღნაღი

◆ **ერთმანეთის მოკვლა.** სოფ. ასანაურში ამ დღეებში ერთი უბედურება დატრიალდა: მირონ ჯავახიშვილი მივიდა მიხეილ მოლაშვილის სახლში და რადგანაც იგონ, რომ სახლის პატრონი შინ არ იყო, კარების ბრახუნი დაიწყო, თან მოლაშვილის ცოლს ქეთოს უძახოდა, კარი გამიღეო. მოლაშვილმა გაიღვიძა და უდროო სტუმარს შეუძახა, აქედან მოშორდიო. ისიც წავიდა, მაგრამ ჩქარა ისევ დაბრუნდა და კარების რახუნი დაიწყო. მოლაშვილმა აიღო ხანჯალი და გამოვიდა გარედ, სადაც შეეტაკა ჯავახიშვილს. ხანჯლით ორივენი ისე მძიმედ დაიჭრნენ, რომ გარდაიცვალნენ.

სოფლად.

◆ **ნოლი** (ოზურ. მაზრა). მეურნემ ბიქტორ შანიძემ, აგრონომმა ანმა და კ. ბერეკაშვილმა აქ მოაწყეს ვაზის მყნობის კურსები. ამ კურსებზე 25 კაცმა შეისწავლა ვაზის მყნობა. შანიძისავე მეცადინეობით აქ არსდება სამკითხველო.

შეცდომის გასწორება:

გუშინდელს მეთაურში ორ ადგილას შეცდომით არის დაბეჭდილი **„ფეხს იცვლის“** უნდა იყოს **ფერს იცვლის..** დაბეჭდილია **„საციცოცხლო ძალას“**—უნდა იყოს **„სასიცოცხლო ძალას“**

გასულ, სამშაბათის ნომერში ტფ. ქალთა საზოგადოების კრების ამბავში შეცდომით არის დაბეჭდილი **მაია წერეთელი,** უნდა იყოს **მაია წუნეთელი**

წერილი ჭიათურიდან

ეს ერთი ხანია ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს გზის მუშებში არა ნორმალური მდგომარეობაა. უთანხმოება მოხდა ტეხნიკურ კანტორასა და მუშებს შორის და ამ ნიადაგზე საქმე ძლიერ გამწვავდა, რასაც ხელი შეუწყო გაზეთ „სიმართლის ხმაში“ დაბეჭდილმა წერილებმა, სადაც ერთ ნაწილს მუშებისას შტრეიკბრეხერებად და შავრაზმელებად ნათლავენ. ამ წერილებს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა საზოგადოებაში და მუშებში. მუშათა შორის თითქმის მტრობა ჩამოვარდა და საქმემ საშიში ხასიათი მიიღო. ყველა დაინტერესებულია გაიგოს, თუ ვინ არის მტყუანი ან რამდენად მართალნი არიან ამ განგაშის ამტეხნი, როგორც პრესაში, ისე ადგილობრივ საზოგადოებაში. სწორედ ამ გარემოებამ მაიძულა გავცნობოდი საქმის ვითარებას და მიმეგნო ამ მოვლენის მიზეზისათვის.

საქმე აი რაში ყოფილა:

საშობაოდ მუშაობა ორის კვირით შესწყდა. ტეხნიკურმა განყოფილებამ გამოუცხადა მუშებს, რომ ნაშობევს შესაძლებელია ბევრი მუშაობა არ გვქონეს და არ დაგვჭირდეთო და სრული დაკმაყოფილება მისცა მათ. 7 იანვრის შემდეგ მუშაობა განახლდა. კანტორამ ორ ჯგუფად გაჰყო მუშები: ერთი ჯგუფი ტეხნიკ დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობის მუშაობდა ერთ მხარეზე, მეორე კი ტეხნიკ გიორგობიანთან მეორეზე. გზებზე მუშაობის პირობა კი ისეთია, რომ დღეს მეტია მუშა საჭირო, ხვალ კი ნაკლები. ამ რიგად მომუშავეთა რიცხვი ხან კლებულობს, ხან კი მატულობს. რამოდენიმე დღის შემდეგ ტეხნიკ დეკანოზიშვილს აღარ დასჭირდა მუშები და ცხრა კაცის გარდა ყველა გაუშვა. ტეხნიკ გიორგობიანს კი დასჭირდა მუშები და რამოდენიმე კაცი მიიღო საბჭოს სხვა დარგებში ნამუშევარნი, და აი სწორედ, როდესაც ამ 9 კაცმა ნახა, რომ გიორგობიანთან მუშაობდა რამდენიმე მუშა, რომელნიც წინედ მათთან არ იყვნენ, მოითხოვეს მათი დათხოვნა და სხვების მიღება. კანტორამ ამაზე უარი უთხრა. მაშინ ამ ცხრა კაცმა გაფიცვა გამოაცხადა და მოითხოვა დანარჩენ მუშებისაგან ისინიც მათ მიმხრობოდნენ. მუშებმა უპასუხეს, რომ მათ მხოლოდ საერთო თანხმობით შეუძლიათ გაფიცვა, თუ ამისათვის საპატიო მიზეზი ექნებოდათ. წინადადება მისცეს, ავირჩიოთ

ახალ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვაცხადებთ რომ, რადგანაც 1914 წლის იანვრის ნომრები **სულ გამოილია,** ვეღარ გავუგზავნით.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

რამოდენიმე კაცი იმის გამოსარკვევად, არის თუ არა საბაბი გაფიცვისათ ისო. გაფიცულ ცხრა მუშას გვერდში ამოუდგა „მუშათა ბიურო“, რომლის აგენტებმა მხოლოდ დაცინვით უპასუხეს ამ წინადადებაზე და მუქარით, მთელი ჭიათურის მუშების სახელით, მოითხოვეს მათთან მუშაობის დატოვებას. მუშები თავის გადაწყვეტილებაზე დარჩნენ, ხოლო სადამოს მაინც გაგზავნეს არჩეული კაცები საქმის გამოსარკვევად. მაგრამ არჩეულებს აქაც დაცინვით და შეურაცხყოფით დახვდნენ. ამის შემდეგ მოლაპარაკებაზე ლაპარაკი მეტი იყო. გაფიცულმა მუშებმა, „ბიუროს“ მეთაურობით მიმართეს კანტორას და მოითხოვეს ერთის მხრით იმ მუშების დათხოვა, რომლებიც ეხლა მუშაობენ და მეორეს მხრით სხვა მუშების მიღება „ბიუროს“ მიერ წარდგენილი სიის თანახმად. კანტორა ამაზე არ დასთანხმდა. მაშინ მათ მიმართეს საბჭოს, რომელიც იმ დღეებში აქ ჩამოვიდა. საბჭომ მოუსმინა მუშების წარმომადგენლებს, მიიღო მხედველობაში ივლისის ხელ-შეკრულობა, რომლითაც დამქირავებელს აქვს სრული უფლება მუშების მიღება-დათხოვნისა და გამოუცხადა გაფიცულებს, რომ მათი მოთხოვნილება მუშების დათხოვნის და მათი სიის თანახმად მიღებისა სხვა მუშების სრულიად უსამართლო და უსაფუძვლოა. დამარცხებულებმა სხვა გზას მიმართეს. დაიწყეს საშინელი აგიტაცია მომუშავე მუშების წინააღმდეგ, რომლებსაც შტრეიკბრეხერების და შავრაზმელების სახელით ნათლავდნენ ყველგან და პრესაშიც „სიმართლის ხმის“ № 31 რედაქციამ პირდაპირ დასაბეზღებელი წერილი მოათავსა, სადაც შეეხნენ ისეთ პირებსაც, მაგ. ი. ვარაზიშვილს და ა. გაფრინდაშვილს, რომელთაც ამ საქმესთან სრულიად არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. ეს იყო შაბათს. ორშაბათს კი ბიუროს წევრების ხელმძღვანელობით გაფიცულებმა ნამდვილი თავდასხმა მოახდინეს, იხმარეს ძალადობა, წაართვეს მუშებს იარაღი და ზოგს ხელითაც კი შეეხნენ, მაგრამ მომუშავე მუშებმა იმდენი შეგნება გამოიჩინეს, რომ პასუხი არ გასცეს მათ უგვანო ძალადობაზე და იმ დღეს თავი დაანებეს მუშაობას, რომ უბედურება რამ არ დატრიალებულიყო. არ ვიცი ვისი მეოხებით, ეს ამბავი შეეტყო პოლიციას, რომელმაც დაატუსაღა მუშები, მაგრამ ჩვენებების ჩამორთმევის შემდეგ ყველა გაანთავისუფლა. მეორე დღეს მუშებმა კვლავ განაგრძეს მუშაობა და ისევ დაჟინებით თხოულობდენ საქმის გამორკვევას. ამის პასუხი ის იყო, რომ ბიურომ საბჭოს გზები ბოიკოტ ქვეშ გამოაცხადა და ყველას აუკრძალა იქ მუშაობა სასტიკი სასჯელის მუქარით. ასეთ გამოცხადებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. გზებზე მუშაობს დღეს ას-ოცი კაცამდის, რომელთა შორის არიან თითქმის ყველა ძველი მუშებიც, გარდა იმ 9 კაცისა. ესენი და ბიურო კი კვლავ განაგრძობენ საზიზღარ წერილების ბეჭდვას, შავ აგიტაციას ეწევიან მათ წინააღმდეგ და ძლიერ იმუქრებიან, თუ ისინი სამუშევარს არ მიატოვებენ. ეს ას-ოცი კაცი კვლავ მოითხოვს მეტს პატივისცემას მუშის პიროვნებისადმი და საქმის გამორკვევას. ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება, საიდანაც მკითხველი საზოგადოება აშკარად დაინახავს, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა და სწარმოებს ეს უგვანო ბრძოლა, რომელიც მთელ მუშებს და საზოგადოებას საშინლად აღელვებს და შიშსა ჰგვრის, ვაი თუ რამე უბედურება დატრიალდესო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მოძალადე მუშები, თავის ბიუროსთან ერთად გონს მოვლენ და დაადგებიან იმ გონივრულ გზას, რომელსაც მომუშავე მუშები ადგიან ე. ი. მოისურვებენ საერთო ძალღონით უთანხმოების ამხანაგურად გამორკვევას.

გარეშე.

წერილი კობულეთიდან

ორიოდე დღის წინად ამოვიკითხე „სახალხო გაზეთის“ 1109 №-ში წერილი ქართველ მაჰმადიანებისადმი. ამ წერილის შინაარსი და დარეჯანის მოქმედება მოგვაგონებს ჩვენს მდგომარეობას და ცხოვრებას. ჩვენ, მაჰმადიან-ქართველებმა, ნაკლებად ვიცით ქართული ისტორია ჩვენი წინაპრებისა, დრომ და გარემოებამ დაგვავიწყა ის ბედნიერი ოქროს ხანა ქართველთა ცხოვრებისა. ამას მოგვაგონებს ნანგრევები და ძველი ნაშთები ჩვენს ქობულეთ-აჭარაში. დარეჯანის სიტყვები მისს ქალიშვილ ნინოს მიმართ: „მოდი შვილო და მოიყვანე შენი პირმშო, გულში ჩავიკრავ იმას, თუმცა ის მუსულმანი არის, მაგრამ ღვიძლი შვილია ჩემიო“.—ეგ სიტყვები დიდი საიმედო არის ჩვენთვის, ჩვენ მაჰმადიანები ვართ რწმენით, მაგრამ ღვიძლი შვილები ვართ საქართველოს. დედოფლის სიყვარული ვერ შეარყია მან, რომ მისი შვილის-შვილი მაჰმადიანი იყო რწმენით, მაგრამ სისხლითა და ხორცით ქართველი. მაგრამ ეხლანდელ დროს სად არიან მსგავსი დედები, უმეტეს ნაწილად დედინაცვლები არიან — სარწმუნოება აშორებს ღვიძლ ძმებს. ქართველი და მაჰმადიანები… გაიძახიან ხალხში. არ შემიძლია დავივიწყო, გული-ადა კიკაცოლის (კიკაციშვილის) სიტყვები ეპისკოპოს ლეონიდისადმი, ქობულეთის სამკითხველოს კურთხევის დღეს—„ბატონო ეპისკოპოსო—უთხრა მან: ჩვენ, ეხლაც და წინედაც მამინაცვლის ხელში ვყავით, თქვენისთანა მამები თუ გვიპატრონებს, თორემ აბა მამინაცვლიდან კარგს რას უნდა მოველოდეთო“-ო. ჩვენ კარგად ვიცნობთ ჩვენს ძმებს ქართველ ქრისტიანებს. აგერ ერთი საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენ დავეკარგეთ საქართველოს, როგორც შვილები. ჩვენ, მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებით, ენა, წერა, კითხვა და ზნე-ჩვეულება, ჩვენი ძმების ქართველებისა გვაქვს. რჯული-სარწმუნოება არის რწმენა ამა თუ იმ პირისა და ორ ღვიძლ ძმას, ნება არ გვაქვს სხვა და სხვა სარწმუნოებისას უთხრათ, შენ თათარი ხარ, შენ ქართველიო…

დიდ მადლობას უძღვნით ბ-ნ სიტყვას, რომელმაც „სახალხო გაზეთის“ ფურცელზე განმარტა ჩვენი მოწოდება ქრისტიან ქართველებთან, რომ დახმარება გაგვიწიონ ქართულ წერა-კითხვის შესწავლაში. თუ ამ ორ წელიწადში არ ჩაეყარა საძირკველი ქართული ენის სწავლის და შენახვას ჩვენში, გვიან და იქნება.

როგორც ზევით ვსთქვი, რამდენმა ათეულმა წელიწადმა განვლო და ჩვენ ქობულეთ-აჭარაში ქართული ენა კარგად შეგვინახავთ. შიშიც არ იყო დღემდის ენის დაკარგვისა, ეხლა კი საფრთხე მოელის ჩვენს დედა ენას. იწყეს სახალხო სკოლების დაარსება ჩვენს სოფლებში. სოფ. ქობულეთში, ჩურუქსუში, სამებაში გაიხსნა სახალხო სკოლები, მაგრამ არც ერთ სკოლაში ქართულს არ ასწავლიან, მასწავლებლებიც ქურთი ბერძნებია, ან და რუსები არიან. ასწავლიან ჩვენს პაწია ბავშვებს მუნჯურებ, რის მიზეზით ყმაწვილებმა, აღარც რუსული იციან და აღარც ქართული დედაენა. რამოდენიმე თვის წინად მივმართეთ წერილობით სახალხო სკოლების დირექტორს, რომ შემოეღო ჩვენს სკოლაში ქართული ენის სწავლება, მაგრამ დღემდის პასუხს ვერ ვღირსეთ. დამდეგ თებერვალს ესტუმრა დაბა ქობულეთს თვითონ დირექტორი. გაუგზავნეს არჩეული პირები და სთხოვეს ქართული ენა ესწავლებინათ სკოლებში, მაგრამ გვიპასუხა: თქვენ, თათრებს, რად გინდათ ქართული ენაო. როდესაც ნური ეფენდი ჯიჯავაძემ უთხრა: ჩვენ თათრები ვართ სარწმუნოებით, მართალია, მაგრამ დედა ენა ჩვენი კი ქართული არისო, დირექტორმა ბრძანა: ფული არა გვაქვს ქართული ენისათვის,—მიმართეთ გუბერნატორს და საშუალებასაც ადგილობრივ იშოვით ქართული ენის შემოსაღებადო.

ნუ თუ ამის შემდეგ ქართველი ქრისტიანები არ დაემზგავსებიან დედოფალ დარეჯანს და თავის ღვიძლ ძმებს უარს ეტყვიან ძმობაზედ იმიტომ, რომ ისინი მაჰმადიანები არიან თვითონ კი ქრისტიანები!?.

ხუჯუ ეფენდი გ. გაიკაცოლდი
(კიკაციშვილი).

პატარა ფელეტონი

მთავრობა და პოეზია

ვისაც უნახავს სახელ-განთქმულ მხატვრის კუინჯის სურათი „ღამე მალოროსიაში“—თავის დღეში არ დაავიწყდება. მაღალ ადგილას პატარა, მყუდრო სოფელია, მთვარის შუქით განათებული. არა სჩანს ადამიანი. ყველას სძინავს თეთრად შეღებულ პაწია სუფთა ქოხებში. ჩამიჩუმი არ ისმის არსად.

მღვიძარეა მხოლოდ მხატვარი. მთვარის შუქი—მისი მხიბლავი გრძნობაა, ის ღრმა, ნაზი სიყვარულია, რომელიც მის შემოქმედების, ამ საუცხოვო სურათს, უხვად დაჰნათის.

მხატვარმა შეიყვარა მალოროსიის ხალხი, მისი ნაზი თავისებური, რბილი ენა, სევდიანი პოეზიით აღსავსე სიმღერები და ამ სიყვარულმა მალოროსიის მხიბლავი მთვარის შუქის საიდუმლოებაც გაუმხილა. საუცხოო სურათი ღამისა—მალოროსთა შემოქმედების სიმბოლოა.

სწორედ ამგვარი მხიბლავი მთვარის შუქითაა განათებული მალოროსიის საყვარელი პოეტის შევჩენკოს შემოქმედებაც. ნაზი, რბილი პოეზია, სევდიანი ხმების გამომცემი სიმები. პოეტის გრძნობა, ღრმა-მოსიყვარულე მშობელსავით დაჰკრთის და თავს ევლება თავის შემოქმედებას.

შეჰხედეთ, მაგალითად, რა ტკბილი ენით ესაუბრება შევჩენკო თავის გულის ზრახვას, თავის საკუთარ ფიქრებს. ეს ფიქრები—მისი ნაზი პოეზიით აღსავსე გულის ღვიძლი შვილებია. პოეტი თავს ევლება იმათ, მხიბლავი გრძნობით ეალერსება და ესაუბრება, როგორც ღრმა მოსიყვარულე დედა თავის პაწია ბარტყებს.

თვალი გადაავლეთ ახლა კუინჯის სურათს და დარწმუნდებით, რა ღრმა შინაგანი სულიერი კავშირია მხატვრისა და პოეტის შორის. ეს კავშირი პოეზიისა და მხატვრობის მკვიდრი ნათესაობის საიდუმლოს გაგვიმხელს.

მხატვარი მხოლოდ იმით განსხვავდება პოეტისაგან, რომ ადამიანის თვალის საშუალებით იმის გულს მიმართავს ხოლმე; პოეტი კი ამ გულზე პირდაპირ, სიტყვით მოქმედებს. მხატვრობა ფერადებით გადმოცემული პოეზიაა.

„შენ ხარ სავსება ყოველთა, აღგვავსებ მზეებრ ფენითაო“,—გვამცნევს შოთა რუსთაველი ღვთის იდუმალ ვითარებას.

მხატვრობასა და პოეზიაში ამ ღვთიური შემოქმედების მზიანობაა გამოცხადებული.

მრავალმხრივია ადამიანის ბუნება, ამიტომ მის გულში ჩქეფარე ღვთიური შემოქმედების ძალაც მრავალმხრივ ჰფენს მას თავის შუქს. ადამიანის ბუნების ამაღლებისა და განსპეტაკებისათვის. მთავრობის განკარგულებით დღეს აკრძალულია რუსეთში კრებები შევჩენკოს ხსოვნის პატივსაცემად. მთავრობა პოეზიას ებრძვის, სურს შევჩენკოს ლექსებში გაფანტული ნაზი გრძნობები გააქარწყლოს, ნიავქარს მისცეს. განა ეს შესაძლებელია?

ის ენა, რომელმაც ამ საუცხოვო გრძნობის გამოხატვა შესძლო, ძალმომრეობის წინაშე ქედს ვერ მოიდრეკს, იმისი აღმოფხვრა შეუძლებელია. ენა ამ მხრივ ადამიანის ბუნების მძლეთა-მძლეობის გამოხატულებაა. შეუძლებელია სიყვარულის ჩაკვლა და აღმოფხვრა ადამიანის გულიდან. იგი ყოველთვის იცოცხლებს. არ დადუმდება ის ბაგე, რომელიც სავსებისაგან გულისა მეტყველებს, ამ გულის უღრმეს გრძნობას, სიყვარულს, გამოხატავს.

ცნობილია არაკი დიდ-ყურა ოთხფეხის შესახებ, რომელმაც მის თვალწინ წყალში გამოსახული მთვარე შესრუტა და განისვენა. დარწმუნებული იყო, რომ მთვარე სავსებით მოსპო, სამუდამოდ გააქარწყლა. ამ დროს კ. ღამის [illegible] სხივმფინარობდა ცის კამარაზე.

ილია ნაკაშიძე.

მოწერილი ამბები

ს. მარტყოფი (ტფ. მაზრა). მარტყოფის მომხმარებელ საზოგადოების წინმსვლელობა შესამჩნევად განვითარდა. ისე დღე არ გავა, რომ მუდამ დღიური ვაჭრობა ორთა შუა რიცხვით 50 მანეთი არ იყოს ამ უკანასკნელ ხანს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერხანად ბევრგვარი ნაკლი აქვს ამ ნორჩ დაწესებულებას. საბედნიეროდ ამ დაწესებულებამ შესძლო ის, რაც ვერ შესძლო დიდი ხნის ხალხის ბრძოლამ მედუქნეების წინააღმდეგ. რაც მოსალოდნელი იყო, მოხდა. ეხლა-კი იკადრეს მედუქნეებმა პირველ საჭიროების საგნებზე გაორკეცებულ ფასების დაწევა, დათანასწორება მომხმარებელ საზოგადოების ფასებთან. მთელ მარტყოფში თითქმის ვაჭრობა ჩადგა თავის შესაფერის მდგომარეობაში. საზოგადოების „მაღაზია“ ვაჭრობს ქალაქის მაზანდაზე უნისიოდ, სავაჭრო საგნებიც, უნდა აღინიშნოს, საუკეთესოა. იყიდება ზედ-მეტ ფასებში მხოლოდ კოპტონი ფ. 1 მ. 30 კ., ქვა მარილი ფ. 45 კ. და ნავთი გ. 5 კ. ვაჭრობის განვითარებისათვის და ხალხის საჭიროებისათვის გამოწერილია ფართლეულობა და ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შუამავლობით მიწის სამუშავებელი იარაღები: გუთნები, ბარები საძთითები და სხვა, რომელიც მარტყოფში უნდა იყოს მარტის გასულისათვის. ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი.

მარტყოფელი.

დ. ხონი. 12 თებერ. ხონის სასტატო სემინარიის დარბაზში მხატვარმა უვაროვმა წაიკითხა ლექცია „მშვენიერება და ხელოვნება“. სემინარიის მოწაფეების გარდა ლექციას დაესწრნენ სავაჟო პროგიმნაზიის, სახელოსნო სკოლის მოწაფეები და გარეშე ხალხიც.

ლექტორმა გარკვევით დაასურათა სიმშვენიერე—ხელოვნების მნიშვნელობა ესთეტიური გრძნობის აღდგენაზე და მისი ისტორია ძველს ეგვიპტეში, საბერძნეთში, იტალიაში. ბოლოს შეეხო რუსეთის მე IX საუკუნის სიმშვენიერე-ხელოვნების განვითარებას. დასასრულ მსმენელ მომოწაფეებს აუხსნა ზოგიერთი მეთოდიური მხარე სწრაფი ხატვისა, რამაც დიდად დააინტერესა მოწაფეები. საზოგადოდ ლექციამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

14 თებერვალს ადგილობრივ თეატრში გერ. გაფრინდაშვილმა წაიკითხა რეფერატი: „ოჯახური აღზრდა“. რეფერენტმა სავსებით დაასურათა, თუ როგორ ცუდად მიდის ოჯახური აღზრდა, და რა ცუდი შედეგი მოსდევს ამგვარ აღზრდას.

შეეხო იმას, თუ რა დიდი ვალი აწევს მშობლებს თავისი შვილების აღზრდაში, როგორც ფიზიკურად, გონებრივად, ისე ზნეობრივად.

განმარტა, რომ თანამედროვე აღზრდის საქმეში ოჯახი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სკოლასთან, რათა უკანასკნელმა უფრო მტკიცედ და ადვილად აღაშენოს შეურყეველი კედელი მკვიდრ საძირკველზე.

რეფერატი შინაარსიანი იყო. გაფრინდაშვილმა მოიყვანა აზრები პესტალოცისა, ჟან-ჟაკ-რუსოსი, ჯონ-ლოკისა, ფრებელისა, ლ. ტოლსტოისა, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთელის და სხ.

სამწუხაროდ, რეფერატს ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მოწაფე ახალ-გაზრდობას, რომელნიც ყურადღებით ისმენდნენ რეფერატს. **ფ.**

საკანონმდებლო დაწესებულებებში

ქალთა უფლებანი.

საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიამ სადამოსნო გადასახადთა დეპარტამენტის ახალ შტატთა კანონპროექტი განიხილა და დაადგინა: დეპარტამენტის მოსამსახურე ქალები სამსახურში უფლებებით უთანასწორდებიან კაცებს. ქალებს საპენსიო უფლებაც ენიჭებათ.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ვებერი დასთანხმდა ამ შესწორებას.

კომისიის თავმჯდომარემ ანტონოვმა განაცხადა, რომ სათათბირო-

ში შეიტანენ სახელმწიფო კანტროლის შტატთა გაფართოვების კანონ-პროექტს; კანონ-პროექტის მიზნად აქვს გადასწყვიტოს საკითხი სამსახურში ქალების მიღებისა.

მთავრობის დეკლარაცია.

სათათბიროს კულუარებში დაჟინებით ამბობენ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გორემიკინი სათათბიროს მთავრობის დეკლარაციით წარუდგება. დეკლარაციის წაკითხვის დაგვიანებას იმას აწერენ, რომ მინისტრთა საბჭოში მუშაობაა მთავრობის გასაერთიანებლად. კოკოვცევის პრემიერობის დროს მინისტრთა საბჭო ერთს მთლიანს არ წარმოადგენდა. ბრძოლა იყო გამართული ორ დასს შორის. ერთ მხარეს იყვნენ კოკოვცევი, ტიმაშევი, ხარიტონოვი და საზონოვი; მეორე მხარეს—რუხლოვი, მაკლაკოვი, კრივოშეინი, შჩეგლოვიტოვი და კასო. ასე რომ მინისტრთა საბჭოს უმრავლესობის პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა კოკოვცევის მიმართულებას. ახლად დანიშნული პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ბარკი თვისი აზრებითა და მიმართულებით ფრიად დაუახლოვდებიან მინისტრთა უმრავლესობას. არ ჰგონიათ, მინისტრთა საბჭოში რაიმე საგულისხმო საკითხის განხილვის დროს უთანხმოებამ იჩინოს თავი. როგორც კი მინისტრთა საბჭო მოქმედების დღიურ პროგრამას შეიმუშავებს, მინისტრთა თავმჯდომარე გორემიკინი სათათბიროს დეკლარაციით წარუდგება.

მოწოდება

მთავრობის ნებართვით ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებამ სოფელ ტყიბულში გახსნა უფასო სახალხო წიგნ-საცავ სამკითხველო, რომელიც ჯერ-ჯერობით განიცდის სიღარიბეს. მოუწოდებთ ხალხის სწავლა განათლების გულშემატკივართ და წიგნების გამომცემელთ ხელი შეუწყონ ახლად დაარსებულ უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს ფულით, წიგნებით და სხვა საშვალებით. სამკითხველო ჯერ დაქირავებულ შენობაში იმყოფება, მაგრამ სამკითხველოს მზრუნველ კომიტეტს განზრახვა აქვს შეიძინოს საკუთარი ადგილი და შენობა სამკითხველოსათვის, თუ საზოგადოება გულ-გრილად არ შეხვდება ამ ფრიად მნიშვნელოვან კულტურულ დაწესებულებას და შეძლებას მისცემს თვისი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს. ყოველგვარი დახმარება გულ-წრფელ მადლობით მიიღება ამ მისამართით:

ტყიბული. უფასო სამკითხველო, ვასილი კაპანაძეს.

სამკითხველოს გამგეობა.

P. S. უმორჩილესად ვთხოვთ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

წკიპურტები

ჩვენ მივიღეთ „ახალი კლუბის" მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. საქმე „მეტად მკვიდრ ნიადაგზე სდგას". კლუბის მესვეურნი ფრიად მუყაითად ეკიდებიან საქმეს და „თავისი საქმე"-სთან და თან ანვითარებენ. ხარჯთ-აღრიცხვა ასეთია:

შემოსავალი: ბანქო – 100,000 მან., ლოტო—69,639 მან. 40 კაპ., ნარდი, ბილიარდი და ჯარიმა—24540 მ. 17 კ., ლექციებისაგან 4 მან. 12 კაპ., კონცერტებისაგან—64 მან. 38 კაპ. სულ 194268 მან. 52 კაპ.

ხარჯი: ა) შანსონეტკებისა, საბჭოს მორიგ ჩინოსან წევრების გამართობელ „მასკებისა" და სხვა ასეთების გასამასპინძებლად—45,000 მ., ბ) მასკარადების შემდეგ ლიტერის ლოჟების გასასუფთავებლად და სავარძლებზე ახალი პირების გადასაკრავად—67 მ. 19 კაპ., გ) „ლიუსტრების შესაძენად (რომელნიც შესაძლოა ძველი გამოდგეს, რადგან ძველის ახლიდან გარჩევა „ძნელია") 49,000 მან., დ) სამზარეულოში ფეჩის შეკეთება, რამდენიმე შუშის ჩასმა და ოთხი გატეხილი თეფშის ფასი—33,000 მან., დ) სამუსიკო ნაწილი (მუსიკის 20 დამკვრელს 27 კაცის ჯამაგირი)—27000 მან., ე) ზოგიერთი მოსამსახურის სამოგზაურო (ტრამვაი) და წვრილი ხარჯები და ჯილდო—25,000 მან., ვ) მოსამსახურეთა ჯამაგირები — 10,000 მან., ზ) საკანცელარიო ხარჯები – 5000 მან., თ) სტიპენდიებისათვის — 150 მან., ი) სხვა და სხვა ქართულ საკულტურო საქველ-მოქმედო დაწესებულებებს დახმარება—20 მან., სათადარიგო თანხა 11 მან. 33 კაპ. სულ 194,268 მან. 52 კაპ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

21 თებერვალი.

უცხოეთი.

ათინა. ათინის სააგენტოს სმირნიდან ატყობინებენ, რომ ბერძნების წინააღმდეგ ბოიკოტი თანდათან მწვავე ხასიათს იღებსო. მაღაზიებთან დაყენებულია მცველები, რომელნიც ვაჭრობას ხელს უშლიან. დღითი დღე მდგომარეობა უარესდება.

ვენა. გამოიცა მეფის რესკრიპტი გალიციის ნამესტნიკის კორიტოვსკის სახელობაზე; მეფე მადლობას უცხადებს კორიტოვსკის გალიციაში საარჩევნო რეფორმის თაობაზე მოლაპარაკების ნაყოფიერად დასრულების გამო; რესკრიპტში იმედია გამოთქმული, რომ ამ შეთანხმებით დასაწყისი დაიდება გალიციის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებასო.

ტოკიო. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ქვედა პალატაში განაცხადა, რომ იაპონიის სესხი რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ 600 მილიონიდან 2 ნახ. მილიარდამდე გაიზარდა. მთავრობას აზრადა აქვს, ვალი 20 წლის განმავლობაში გაისტუმროს.

პარიზი. ფინანსთა მინისტრმა სენატის კომისიაში წარადგინა შემოსავალთა გადასახადის ახალი პროექტი.

ტრიესტი. მოვიდა პრინცი ვიდი მეუღლითურთ. მას დაუხვდა უმაღლესი ადგილობრივი მთავრობა პრინც გოგენლოეს მეთაურობით. პრინც ვიდს წარუდგნენ ალბანეთის დეპუტაციები.

ბუდაპეშტი. კაბალიუკი დებრეჩინის ციხეში გადაიყვანეს.

ვენა. დეპუტატთა პალატაში დეპუტატ სტანეკმა და ჩეხებმა პალატის თავმჯდომარეს მოსთხოვეს თხოვნით მიემართა შინაგან საქმეთა მინისტრისთვის შვიხის საქმის გამოგანმარტების მოსაცემად. როგორც ვიცით, „ნაროდნი ლისტი" შვიხს ჯაშუშობას აბრალებს. თავმჯდომარემ აღუთქვა შუამდგომლობა.

პარიზი. ფინანსთა მინისტრის გადასახადთა პროექტი საფრანგეთის რენტას გადასახადისგან არ ანთავისუფლებს. ამის გამო პრესამ კაიოს წინააღმდეგ გაილაშქრა. კაიომ საყოველთაოდ განაცხადა, რომ მას განზრახვად არ აქვს რენტის განთავისუფლება გადასახადისაგან.

წვრილ მრეწველთა და ვაჭართა ასოციაციების კონგრესი მოხდა. კონგრესმა პროტესტი განაცხადა კაიოს ფისკალურ პოლიტიკის წინააღმდეგ. კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე ბარტუმ სიტყვა წარმოსთქვა, დაჰგმო კაიოს პოლიტიკა და მოითხოვა რენტის გადასახადის საკითხის თაობაზე კაიომ პალატაში ნდობის საკითხი წამოაყენოს.

პარიზი. 20 თებერვალს დაიწყო მოქმედება მცირეწლოვანთათვის დაარსებულმა სასამართლომ. სასამართლო დაარსებულია 1912 წლის კანონით.

პარიზის სავაჭრო პალატა პარლამენტის წინაშე შუამდგომლობს ნუ მიიღებს საფრანგეთი მონაწილეობას სან-ფრანცისკოს გამოფენაში; ეს შუამდგომლობა იმით არის გამოწვეული, რომ ამერიკის სადამოჟნო გადასახადი ხელს უშლის საფრანგეთის ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფალ განვითარებას.

ტრიესტი. პრინცი ვიდი გემით დურაცოსკენ გაემართა.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ჟორესმა შეკითხვა შეიტანა კაიოს კანონ-პროექტის თაობაზე. ბარტუმ აღნიშნა, რომ იმედია იუსტიციის მინისტრი გამოარკვევს რენტის სპეკულიაციის წარმოშობას. კაიომ განაცხადა: მთავრობას არა ჰქონდა ფიქრად რენტის განთავისუფლება გადასახადისაგან; მთავრობას ჰსურს რენტაზე გადასახადი პროექტის დამატებითი მუხლებით დააწესოს. პალატის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკითხი გამორკვეულია.

ბერლინი. კრონ-პრინცის შეურაცხყოფის გამო ბერლინის გაზეთში მოთავსებულ წერილის ავტორს ლეიის ექვსი თვის ციხე მუსაჯეს.

სტამბოლი. ხმები გავრცელდა, აბდულ ჰამიდი მძიმედ არის ავადო.

სტამბოლი. სმირნაში, სიმაგრე ინე-კალეს მახლობლად დააპატიმრეს ორი ბერძენი, რომელთაც ჯაშუშობა ჰბრალდებოდათ. დაპატიმრებულნი სტამბოლს გაჰგზავნეს.

გავრცელდა ხმები, რომ გერმანიიდან 100,000 მაუზერის სისტემის ახალი თოფი შემოიტანესო. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის მთავრობა ფრიად განიცდის ფულის სიმცირეს, მას უარი შეუთვლია პერიეს ბანკის წინადადებაზე; ბანკი წინადადებას აძლევდა ოსმალეთს გაენაღდებინა მისთვის ახალი სესხი. უარი მძიმე პირობებით არის გამოწვეული.

სტოკჰოლმი. რიგსდაგის დათხოვნის წინ გამოაქვეყნეს მთავრობის სამოქმედო პროგრამა; პროგრამაში აღნიშნულია სახელმწიფოს თავდაცვის კანონ-პროექტი, სამხედრო სამსახურისა და სანაპირო ფლოტის საკითხები. პროგრამის განსახორციელებლად შემოღებული იქნება პროგრესიული გადასახადი. მინისტრთა საბჭოს სხდომის ოქმზე, სადაც აღნიშნულია პროგრამა, მეფემ საკუთარის ხელით მიაწერა: „მეორე არჩევნების დანიშვნით ხალხს შეძლება უნდა მიეცეს გამოსთქვას თვისი აზრი სახელმწიფოს თავდაცვაზე. ამ საკითხის გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული შვეციის თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტის დაცვა".

ლონდონი. სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა 1914—1915 წ. უდრის 28.845.000 გირვანქას. შარშანდელზე ხარჯთ-აღრიცხვა გადიდებულია 625.000 გირვანქით. სამხედრო ავიაციისათვის გადადებულია მილიონი გირვ.

პალატაში შეიტანეს ჰომრულის კანონ-პროექტი. ლიბერალები და ნაციონალისტები ამას აღფრთოვანებით მიეგებნენ.

ბუდაპეშტი. წინა სხდომებზე კლერიკალი დეპუტატი შესკიდი გრაფ ტისას ორჯერ შეეკითხა უგრო-რუსთა პროცესის თაობაზე. დღევანდელ სხდომაზე იმავე დეპუტატმა მიჰმართა ტისას შეკითხვით: ჰსურს თუ არა მინისტრს იმ დეპუტატის დასახელება, რომელიც პოლიციის აგენტს დიციშკოვიჩს უნდა მოესყიდნა უგრო-რუსთა პროცესის თაობაზე შეკითხვის შესატანად; ჰსურს თუ არა მინისტრს ღონისძიების მიღება პოლიციელთა და ჟანდარმების დასასჯელად, რომელნიც დამნაშავეებზე თალასა ხმარობდნენ. რა ღონის ძიების მიღებას აპირებს მთავრობა უგრო-რუსთა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ტისამ შეკითხვას ირონიით უპასუხა, რამაც ოპოზიციის პროტესტი და აღელვება გამოიწვია.

რუსეთი.

მინსკი. რადგანაც ჩრდილო ამერიკაში სამრეწველო კრიზისი მძვინვარებს და ფაბრიკა-ქარხნების მუშაობა შეჩერებულია, მრავალი ემიგრანტი გლეხი სამშობლოში ბრუნდება.

პეტერბურგი. საკრედიტო კანცელარიის დირექტორი დავიდოვი თანახმად თხოვნისა განთავისუფლდა თანამდებობის ასრულებისაგან, მის ნაცვლად დაინიშნა საქალაქო და საერობო კრედიტის კასის გამგე, სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრი ნიკიფოროვი.

პეტერბურგი. საოლქო სასამართლომ ნაფიც-მსაჯულთა დაუსწრებლივ გაარჩია საქმე ვიბორგის მაგისტრატის ბურგომისტრ ციმერგანისა და რატმანების: ჰოლელგელმისა და ვუოლინენისა. მათ ჰბრალდებათ წინააღმდეგობის გაწევა ფინლანდიაში რუსთა თანასწორობის კანონის წინააღმდეგ. სასამართლოში მცველებით მიიყვანეს ერთი ბრალდებული ვუოლინენი; მან სასამართლოს ჩვენება არ მისცა, რადგანაც მისი აზრით, საქმის გარჩევა რუსეთის სასამართლოს არ ექვემდებარება. სასამართლომ სამივეს რვა-რვა თვის ციხე გადაუწყვიტა; ამასთანავე ეკრძალებათ მათ ათი წლის განმავლობაში სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურის გაწევა.

თეატრი და ხელოვნება

ნიღა (ოზურგ. მაზრა). 16 თებერვალს სად. საჯავახოში მსახიობ ჯაყელის მონაწილეობით დასდგეს „მოტყუებულნი" და ვ. გუნიას „მონადირე". ხალხი ბლომად დაესწრო და კარგადაც ითამაშეს.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) სვიმონ გიორგის ძემ წერეთელმა: ა) ვახტანგ მეფის სამართალი (ხელნაწერი) და ბ) სამოციქულო ხუცური, ნაბეჭდი (ნაკლულია).

2) იასე კოსტანტინეს ძემ ვაჩნაძემ: ორი შავი ფული სპარსული (ხოიდან).

3) მღვდელ-მონაზონმა ათანასემ: ა) ხუცური ხელნაწერი და ბ) სძილისპირნი, მხედრული ხელნაწერი.

4) სოლომონ იასონის ძემ ახვლედიანმა: ა) პრტყელი დანა სპილენძისა, ბრინჯაოს ხანისა, ჩუქურთმიანი ტარი აქვს.

5) ზაქარია სვიმონის ძემ ბახუტაშვილმა: ვერცხლის სამარილე ძველებური.

6) როსტომ ქაიხოსროს ძემ ავალიანმა: ა) წიგნი: Архіерей Астраханской епархіи за 300 лѣтъ ея существованія (съ 1602 до 1902 г.).

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სამ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

ყარსისკენ: **სამ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევნისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** [illegible], 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 მ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქა. ლანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ა. მ. **ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 ნ. დ. **ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. **ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 გ. ა. **მირაჭკოვი** (მიხეილი. პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგამგეო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქემ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 [illegible] შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. ვ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. აგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. აგეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1071

ს. ა. გრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლების დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. ვერა, იზმაილოვის შესახვ., ბულინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 48

იყიდება
ვერაზე, სომხების სასაფლაოს ახლოს, 112 ოთხკუთხი საჟენი მიწა ორი ქვითკირის ოთახით და სამზარეულოთი.
პირობების გაგება შეიძლება ამ მისამართით: ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 6. მკერავ ივ. სვანიძესთან. 112

საჭიროა ქართველი ცოტა შეგნებული ქალი, ყმაწვილებისათვის ქართული ენის გასაკვეთად. შეიძლება ხნიერიც. მისამართი: ყარსი, ვოენსკი ნაჩალნიკი იოსებ ზურაბის ძე ოქროპირიძე. 106

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

სესხის ამხანაგობა კახეთის ახალშენებში

სოფ. ლელიანი (სიღნაღის მაზრა). მიმდინარე წლის 30 იანვარს მოხდა ლელიანის ამხანაგობის წევრთა წლიური კრება, რომელსაც დაესწრო წვრილი სესხის ინსპექტორი მ. ვიფორსი.

ამხანაგობამ მოქმედება დაიწყო 1912 წლის 1 ივნისს. ამ ჟამად 299 წევრი ჰყავს 19750 მანეთის ნდობით. წევრთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს.

წლიურ ანგარიშიდან გამოირკვა შემდეგი:

პასივი:	1 იანვრისთვის 1913 წ. იყო:		1913 წლის განმავლობაში: შემოვიდა:		გავიდა:		1914 წლის 1 იანვარს არის:	
	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
ძირითადი თანხა	2000	—	80	—	—	—	2080	—
სათადარიგო თანხა	—	—	40	—	—	—	40	—
შესანახად შემოტანილი	190	—	600	—	294	75	495	25
ნასესხები სახელმწ. ბანკიდან	—	—	5000	—	5000	—	—	—
გადასახდელი თანხები	—	—	200	—	100	—	100	—
გასესხებ. ფულის სარგებელი და მოგება	193	20	790	95	856	32	127	83
ჯამი	2283	20	6710	95	6851	7	2843	08
აქტივი:								
ამხანაგებზე გაცემული სესხი	1775	—	7380	—	8185	—	2580	—
შეძენილი საქონელი	186	—	18	60	1	20	168	60
ხარჯები	—	—	663	12	663	12	—	—
ჯამი	1961	—	8061	72	8849	32	2748	60
ნაღდ ფულად	422	20	14772	67	1510[illegible]	39	94	48
ბალანსი:	2383	20	—	—	—	—	2843	8

127 მან. 83 კაპ. მოგება საერთო კრებამ ამნაირად გაანაწილა: ძირითად თანხად ჩაირიცხა 55 მ., სათადარიგო თანხად 30 მ., შეძენილი საქონლის საფასურის გადასახდელად 18 მ. 60 კ. და მიმდინარე წლის მოგებას მიუმატა 24 მ. 23 კ.

ჯამი 127 მ. 83 კ.

ჯერი მიდგა გამგეობისა და საბჭოს წევრების ამორჩევაზე. ამორჩევის წინ ბ. ვიფორსმა ვრცელი სიტყვით მიმართა კრებას და აუხსნა, თუ როგორი პირები უნდა ამოერჩიათ. ეს საკითხი არც ისეთი ადვილი გადასაწყვეტი იყო მათთვის, რადგან არამც თუ ასეთ ახლად დასახლებულ საზოგადოებაში, როგორიცაა ლელიანისა, სხვა დიდ სოფლებშიდაც სანთლით საძებნელი ხდება გამოცდილი და კეთილ საქმისადმი გულშემატკივარი პირი. საერთო კრებამ ერთხმად დასტოვა გამგეობის წევრად ანქტოზ ი. ლოლაძე (იგივე თავმჯდომარე გამგეობისა) და ამოირჩია მასწავლებელი ალ. მაქავარიანი და ელ. გედ. ტაბატაძე. საბჭოში ამორჩეულ იქმნენ გლეხები: რევტატიშვილი, ქრისტეფორე მოდებაძე და სპ. ბრეგვაძე. ზედმეტად არ მიმაჩნია აღვნიშნო ამ ამხანაგობის არსებობის პატარა ისტორია. ზევით მოვიხსენიე, რომ საერთოდ ჩვენ სოფლებში გამოცდილნი და საქმისადმი გულშემატკივარნი სანთლით საძებნი არიან მეთქი. ლელიანის საზოგადოებაში კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ მასწავლებელს ბ. მაქავარიანს, რომელსაც მეტად საპასუხისმგებელო თანამდებობა აბარია და შეძლებისა-დაგვარად მონაწილეობას იღებდა და იღებს გამგეობაში, მართლაც, რომ არავინ მოიპოვება, გარდა სოფლის მწერლისა, რომელიც დატვირთულია არამც თუ თავის მოვალეობით, იგი ასრულებს უსწავლელ მამასახლისის და სოფლის მოსამართლეების როლს. დიახ, ბ. ანქტოზ ლოლაძე ამ მძიმე მოვალეობას ასრულებდა დღემდე. ერთ და იმავე დროს იგი იყო სოფლის სამმართველოს მწერალი, წვრილი სესხის ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე, მოანგარიშე, საქმის მწარმოებელი და ხაზინადარიც. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ბ. ლოლაძე სხვასთან ერთად დღემდე უსასყიდლოდ ემსახურებოდა ამხანაგობას, და თუმცა მართალია ამხანაგობას ჯერ ის ნაყოფი არ გამოუღია, რომელსაც მისგან ხალხი მოელის, მაგრამ საქმის წარმოება ჩინებულად აქვს დაყენებული, რისთვისაც ინსპექტორმა მოკლე ვადიანი სესხი 10.000 მანეთამდე გაუდიდა და შემდეგშიაც შეჰპირდა მომატებას.

ბ-ნმა ლოლაძემ ამ წლიდან თავი დაანება მწერლობას და შეუდგა მხოლოდ სესხის ამხანაგობის გამგებლობას; კრებამ მას ჯერ-ჯერობით თვეში 20 მანეთი დაუნიშნა. კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა როგორც, გამგეობაში მომუშავე პირთ, ისე ინსპექტორს ვიფორს კეთილ საქმისადმი წამქეზებლებს და დაიშალა.

ტარასი ხაჩიძე.

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.